გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 102

2023 წლის 9 ივნისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს.კ. 66.45.24.045) ნაწილი ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - საქსტატისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (ს/ნ 212273868) 2023 წლის 27 აპრილის N 1-1025 წერილით დააყენა საკითხი გორის მერიის წინაშე, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა (შემდგომში - საქსტატი) და გორის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2013 წლის 20 მარტს გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებას (საგანი: ქალაქ გორში, სტალინის გამზ. N 16-ში მდებარე შენობაში (ს.კ. 66.45.24.045) მესამე სართულზე არსებული 57.8 კვ.მ ფართი) ამოეწურა მოქმედების ვადა და ითხოვენ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას საოფისე ფართისთვის, საქსტატის წინაშე არსებული კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობების განხორციელების მიზნით.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს - საქსტატს (ს/ნ 212273868) უსასყიდლოდ, სარგებლობაში უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს გორში, სტალინის გამზ. N 16 არსებულ შენობაში (ს.კ. 66.45.24.045) მესამე სართულზე არსებული 3 (სამი) ოთახი, 57.8 კვ.მ ფართი.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით გადასცეს სსიპ-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურს - საქსტატს (ს/ნ 212273868) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ გორში, სტალინის გამზირზე N 16-ში მდებარე შენობის (ს.კ. 66.45.24.045) მესამე სართულზე არსებული 3 (სამი) ოთახი, 57,8 კვ.მ. ფართობი.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**